



ნაც პარასკეობით ბაზარში ქუთაისის უბრები სოფლის მცხოვრებლებისაგან ჰყიდულობენ სხვა და სხვა ხორაგულსა და ამის გამო ქუთაისში სიძვირე ჩამოკარდა, პარასკეობის მაგიერათ, რაც სოფლებს, რამე ექნებათ გასასყიდ, შაბათს ჩამოიტანონ ქალაქში.

თებერვლის 15-ს ქუთაისში ახლად გადაკეთებული სილის ხიდი უკუოთხებათ. კურთხევის შემდეგ საზოგადოება შეკრებილა საუზმეზე, რომელზედაც დაუღვივით საღებრძელო დიდის მთავრის კავკასიის ნამსტინიკოსა, რადგან ამ დღეს შესრულდებოდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც დღეს მთავარს ჩვენი მზრის მმართველობა დაუწყია. ამ დღისავე სახსოვრათ, ქალაქის მოქალაქეებს შეუწირავთ იმდენი ფულები, რამდენიც იქაურ წმ. ნინოს სასწავლებელში სამი ქალის გასაზრდელად იკარებს.

ამ დღებში გამოვიდა ახალი, ანუ უკეთესი, განახლებული ქართული გაზეთი — «ფეთის-დედა», როგორც ორგანო აქაური სამეურნეო საზოგადოებისა. ეს გაზეთი კერაში ორჯერ უნდა გამოიცეს. იმას რედაქტორები არიან: აგრონომი ა. ვართანოვი და ა. ფურცელაძე.

ქუთაისის ლუბერნიის აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი უცხადებს ამ ლუბერნიის თავად-აზნაურებს, რომ მომავალს 1-ს მისს იქნება ქუთაისში აზნაურობის კრება ლუბერნიის და უეზღების წინამძღოლეთა და სხვა თანადებობის პირებთან ამოსარჩევლად.

«თფლისის კეთილ-მოქმედი საზოგადოებისაგან»

თფლისის მცხოვრებლებმა იციან, რომ ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანი «თფლისის კეთილ-მოქმედი საზოგადოებისა» ის არის, რომ ღარიბი ხალხის შეიღებს უფასო სწავლისა და აღზრდის საშუალება მისცეს; იციან აგრეთვე, რომ ამ საზოგადოებას, თავის განზრახვის აღსასრულებლათ, ხშირათ ჯეროვანი საშუალება არა აქვს. დღემდე, სხვათა შორის, ის პოულობდა თავის საშუალებას იმით, რომ საზოგადოების წევრნი სწირავდნენ რასმე და ამას გარდა ცოტადღენი შემოდიოდა სხვა-და-სხვა ლატარეებისაგან, საღამოებებში, წარმოდგენებებში და კონცერტებებში.

ესლა საზოგადოებამ თავის საშუალების შესამატებლად, განიზრახა, რომ, როგორც რუსეთის დიდ ქალაქებშია, აქ თფლისშიაც შემოიღოს კაპეიკები. ამის გამო «საზოგადოების» წევრნი და ქალაქისაგან ამორჩეულნი პირნი განსაკუთრებული ყურადღებით (ყურადღებით) დაივიწყეს ყველა სახლებსა და ოჯახებს და უპატრონო ობლობის სახელობით, სხვოენ ყველას, რომ კაპეიკი შესწირონ ამ კეთილ საქმეს.

გამოაცხადებს რა ამას, საყურელთათა საცნობელად, «კეთილ-მოქმედი საზოგადოება» დარწმუნებულია, რომ თფლისის მცხოვრებელნი თავის ჩვეულებრივის თანაგრძობითა მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას და არ დაივიწყებენ, რომ გამცემის ხელს არასოდეს არ აკლდება, და ყოველი საჩუქარი კეთილია და სრული...

«დროების» კორრესპონდენცია

ქიზაყიფან, თებერვლის 15-ს.
ყველამ გაიგო რომ ჩვენი ქიზიყი წელს ძირიელ დეცა, ძირიელ დამივიდა, ჯერ ზამთარიც

არ გათავებულა, ჯერ კიდევ ბევრი ხანი უძვის წინ ახალ მოსალოადის ქიზიყილებსა და ჩვენი მზარე ისეთს მდგომარეობაშია ჩაყარდნილი, რომ, როგორც მკითხველებმა იციან, თითქმის ნახევარი ქიზიყი სულ სხვა და სხვა მზარეს და ნამეტნავთ გელმა მზარში, ზაქათალის მზარში, საინგილოეთში წაიდა. ქიზიყში კიდევ მრავალი ხალხი დარჩა უსაქმელო და უსასმელო, რადგან არც პური და არც ლენოა წელს ქიზიყის თითქმის სულ არ ჰქონდა. ეს ქიზიყელები იკვებებოდნენ აქამდის სხვა და სხვა მსლებით: ბოლოკათი, ხაქიკორათი, ყაყიო მხლითა, ბაღობით და სხვითა და სხვითა. მაგრამ აი ეხლა ეცეც შემოვილიათ ჩვენ ქიზიყელებს, მათ არა თუ სულ მოკრიფეს ეს მსლები, არამედ სულ ძირიანს ამოაგდეს ასე, რომ აქაური ვენახები და მინდვრები რომ ნახოთ, დახულები გვეგნებათ. მაგრამ ბუნება ცოტა არ იყოს კიდევ ზრუნავს ამათთვის: მან მოუყლინა ღამილი და აი ჩვენი ქიზიყილები გაეშურნენ ქიზიყის ტყეშია, სადაც ეს მცენარე იზდება. მიდიან კაცები, დედაკაცები, პატარა ბიჭები და ქალები და მიჰყავთ თან ძუძუთა ყრმებიცა და დაიარებიან იმ ტყეში სამ-სამი დედა-კაცი უვაქცაოთ თავის შვილებით, ღამილის საძებნელათა და სათხრელათა; შემდეგ იქვე ხარშენ და ამნარათ იკვებებიან. ღამითაც იქვე ბინაელებიან, და შეეცქვიან უმარილო-სა, როგორათაც კარგს საგულის-გულთთ გაკეთებულს ქადას! მათ არ აშინებთ არც ნადირი და არც ავაზაკი; მათ ფიქრშია არ მოლით, რომ შეიძლება გაფუჭდნენ რომლისამე საშიშარის ტყის ნადირისაგან, აგონდებათ მხოლოთ თავისი ცარიელი კუჭი და ფიქრობენ, რომ მშვიერი არ დაიხიციენ. შიმშილი მათ ძმით არ მიანიათ. ვინ იცის იქნება, რომ ნადირისაგან შექმასაც არ თაკილობდნენ, ოღონდ კი მოაშორან თავი და არ უყურონ თავის წვირდ შეიღების წვალე-ბასა და ღნაილსა.. მაშ რა ქნან, რით იცხოვრონ? ძმობის სიყვარული აღარ არის, მეზობლობა და ნაცნობობა ხომ ვინა ქნა? ერთ აქაურ კაცს ფული ეყრსად ეშოვნა სასესებელი; ეს კაცი კარგი ოჯახის შეილია და ბევრის საზლობის პატრონი და, რასაკვირველია, თხოვნა და ლეკვში გაქცევა მან ითაკილა. პური კი ამასაც სხვებსავე უქირს, რა ქნას, რით გაიმართოს? უნდა მიმართოს ისევ მეზობელს. აღმოჩნდა ისეთი კეთილი მეზობელი, რომელმანც არ უყო უარი და მისცა ხელი წყალში გასაყვანათ: ოც კოდს პურში, ათის თვის ვადით, მიაწერა ოცი თუმანი ფული და ესრეთ გამოვიდა, რომ არც თითონ დარჩა ხელ-გაუთბობელი და არც მთხოვნილი პირ-ცარიელი!.. ამგვარ ნიშნებს ძმით-მოყვრეობისას და გულ კეთილობისას ჩვენში მუდამ დღე ნახეთ.

ნაჯუქა ნაჯუქაგის ასული.

ბოღბის-სეკა.

შუკვადი, თებერვლის 28-ს.

გწერთ კიდევ ერთს იმის მზგავს ამბავს, როგორც ამას წინათ მოგწერეთ: ამ თვის ოცს, ღამით, ავაზაკები მიუბტნენ თავადს დავით ჩიჩუას, თავის სახლში, სოფ. ზანას, და ის და მისი ცოლი ორივე ხანჯლით დაჩხეს. ეს საქმე მით უფრო შესანიშნავი და საზარელია, რომ ის ჰბრალდება გარდაცვალებულის უფროს შვილს, დიტო ჩიჩუას, რომელიც აქამდის გაქცეული იყო და გუმინდაიჭირეს. გარდაცვალებულ კნინას, რომელიც გუშინდლამდე ცოცხალი იყო და ცოტათი ლაპარაკი შეეძლო, უცნაო ქველელი; გარდა ამისა ამბობენ, რომ ბევრი ფაქტები

გამოჩენილი, რომლებს ძალით ეს საშინელი მოქმედება შემოხსენებულ პირს უმტკიცდებო. ამბობენ, ამასთან ყოფილა კიდევ ექვსი დაიარაღებული კაცი; ვინაობა ამთი ჯერ არაიენ იცის, თუმცა ექვით კი არის ორი კაცი დაქვრილი.

სხვა ახალი ამბავი ზუგდიდში კიდევ ეს არის: აქაურ ორ-კლასიანის შკოლის მასწავლებელმა გამოითხოვა ნება ქალების სასწავლებლის გახსნისა. ახლავე დაწყებინა ერთი ოთახის მომპატება ორ-კლასიან სასწავლებელთან. სახლი ამ დღეებში მზათ იქნება, მაგრამ ჯერ არც მოსწავლეები სჩანან და არც მათი მასწავლებელი და ფულის ხსენება ხომ სულ არ არის. ამ შემთხვევაში ვგონებ ზუგდიდ და ოზურგეთი ერთნაირს მდგომარეობაში არიან: «დროებაში» გვეცნობა, რომ ოზურგეთშიაც აპირებენ საქალებო შკოლის გახსნასა, მაგრამ, სახლის (!) უქონლობის გამო, თურმე გაჩერებულია ეს საქმე. სამწუხაროთ, ზუგდიდი შორს არის ოზურგეთზედ, თორემ სახლს ჩვენ ეათხოვებდით და ამგვართ ამ ორ პატიოსან ქალაქში ერთი საქალებო შკოლა მაინც გაიხსნებოდა....

ად. ნაკობიძე.

შუკვადი. «დროების» მე-7-№ში ზუგდიდის კორრესპონდენციაში შემდეგი შეცდომა: იქ მოხსენებულია, რომ ავაზაკები მომრიგებელ მოსამართლეს დაეცნენო. უნდა იყოს «მომრიგებელ მოსამართლის ჩინოვნიკს მოწერილია» დაეცნენო.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! წავიკითხე რა სამი წიგნი სიღნაღის მარის შიმშილზედ, გულშიდ ვიფიქრე, რომ ჩვენშიაც ყოფილან დეთიური ხალხნი მეთქი, რომელნიც გარდა შეწირვისა, სხვებისკენაც მიჰმართამენ კალამს, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა. არ ვიცი ყველა დამშუულ სოფლებშიდ ყოფილან თუ არა ის კეთილნი გვამნი. უნდა კი მოგახსენოთ, რომ მათ აღწერაშიდ ერთი ბეწვი მომეტებული არ არის რა. აი, დღეს გაზეთ «კაიხშილ» წავითხე დარღვევა უფალ ბოღბელის წიგნისა. მე არა მსურს რაიმე ესტეწეწინაღმდეგი ამ სტატისა, მხოლოთ გეტყვი შემდგომს: მე მასოვს წინანდელი შიმშილებიც, როდესაც პურა საზოვარი არ იყო, ფუთი სამ მანეთამდე ფასობდა. მაშინ ფული, შემდეგ იყო, ცხლანდელი შიმშილი წარმოსდგა უქონლობისაგან. სიღნაღის უეზღი ისრე გლატაკდა, ისრე დაზარალდა, რომ არაფერი არა აქეთ. მამულები დაგირავებულია, საქონელი გაუწყდათ უბალახობით, ზოგი შიმშილმა დახოცინა და რაც დარჩათ, მიჰყიდეს უფასოთ. ნუ თუ მართლა ამას შიმშილი არა ჰქვინა? უქონლობის გამო, ბალახს სკამენო, ჭინჭარს, ბაღბას, მკაუნას და სხვას. აბა, ერთი გავმზარონ, ვისაც არა სწამთ, იმ საცოდავ მზარშიდ და უყურონ გუნდ-გუნდ დედაკაცებს (რა ფლეთა და გლეჯა აქეთ. რასა ჰკრეფამენ და რახედ ჩხუბობენ? ბალახზედ აქვთ ცილება. ვგონებ, ამას უბახიან იოქრა ზა ცუხეხოვანიე. აღრევე შეიკაე გული, განიძრახე, რომ შენ რკინის გული გაქვს და წარმოიღინე, რომ შენ სხეულზედ არაფეთარი ზედ-მოქმედება არა აქვს ამბებს შიმშილზედ, და პატარა ხან გამოჰკითხე იმან ცხლანდელ მდგომარეობაზედ. გარწმუნებ, რომ შეხედვით შენი სხეული შეიჭუნება, იგრძნობს შფოთვას, შეწუხებას, შევიწროებას და ლახვარსავეთ გაგივლისთ, და თუ რამე გაქვს, უთუოთ მისცემთ და მოშორდებით, რომ არ იყოთ ამ გვარი სცენების და ცნობების მყურებელი და მსმენელი. გაგონილა

როდისმე, (თუ შიმშილი არ არის), რომ ქიზიყის დედაკაცები ლეკვში გადაციენილიყენენ? გაგონილა როდისმე, რომ სოფლები ასრე დაცარილებულიყენენ? მღვდლებმა უკეთ იციან, რამდენი კომლი აკლიათ. სოფლები: ნუტირანი, მალარო, ჭოტორო, ქედელი, ბოდბე, ბოდბის ხევი, ტიბანი ფანიანი, მახიანი, ჯუგანნი, არბოშივი, ასანური, საქაბო, ეპირი, ანაგა, კარდენანი და სხვა. სრულიად დაღატაკებულნი არიან და გრძობენ ნამდვილ შიმშილს.

ამ მოკლე ხანშიდ გაცნობებთ აუარებელს ფაქტებს და ცნობებს და გთხოვთ ერთი ვრცელი ნომერი აგვამსებინოთ ამგვარ ცნობებით, რადგან ბევრ უწუმუნო გვამებს სურთ ფაქტები.

დ. გრგობი თქქანა და სხ.
თბილისი.

რუსეთი


მახკოვა, 16 თებერვლი.

(«დროების» კორრესპონდენცია)

ნეჩაევის საქმის გარჩევის შემდეგ, ე. ი. მ-ს იანერდგან ამ თვისვე დამლევაში, ჩვენს ქალაქში არაფერი არა მომხდარა საზოგადო ყურადღების ღირსი. წასული თვის დამლევის ერთმა ახირებულმა გარემოებამ მიიპყრო მთელი საზოგადოების ყურადღება.

იმ ხანად მოვიდა მოსკოვში ახალი სამოქალაქო ლუბერნატორი, უფ. დურნოვი. აქაურმა ქალაქის წარმომადგენელმა (городской голо) უ. ლიამინმა, საჭიროთ ჩასთვალა მისუციყო და გამოცხადებოდა ახალს ლუბერნატორს. წაიდა, მაგრამ ამ პირველ მისვლანე ვერ ნახა სახლში და დაუტოვა ვიზიტის კორტოჰკა. მეორეთ რომ მივიდა, ჰკითხა თურმე ლუბერნატორმა: «რატომ აქამდის არ გამოცხადდით ჩემთანაო?» იმან მიუგო, რომ ვეყავი, მაგრამ ვერ განახო და კორტოჰკა დავტოვეო.. «როგორ! ჩემთან მოხედით, როგორც კერძო პირიო?» ეკითხა ლუბერნატორს. — არა, თქვენო აღმატებულე-ბაე, უთხრა თურმე უ. ლიამინმა, რომ დაგვედნათ კორტოჰკაზე, დანიხავდით, რომ თქვენთან მოვიდა ქალაქის წარმომადგენელი ლიამინი, და არა კერძო პირიო. «მერე როგორ არ იცით წესი და რიგო, ეთქვა ლუბერნატორს, რომ როდესაც თავის უფროსთან მივლენ და ვერ ნახენ სახლში, იქ წიგნი არის და იმშიდ ჩაიწერებიანო?» ამასთან რალაც უბედურათ თურმე უ. ლიამინი ფრაკში იყო; ამან კიდევ უფრო გააბრაზა თურმე უ. დურნოვი: ეკითხა მას უ. ლიამინისთვის: რატომ მას მუნდირი არ აცვიო? განა არ იცის, რომ ქალაქის წარმომადგენელს აქვს თავის მუნდირი, რომელშიდაც უნდა გამოცხადდეს თავის უფროსთან? აქ უ. ლიამინს თავის სიმართლის დამტკიცება უნდოდა თურმე კანონის ძალით, მაგრამ გაჩერა ლუბერნატორმა და უთხრა, რომ იმან კანონი არ ახსენოს, რადგანაც ის, უ. დურნოვი, მისი უფროსია და მასადავმე უფრო იცის იმაზე კანონი, თორემ წინაღმდეგ შემთხვევაში ის არც კი იქნებოდა მის უფროსად დაყენებული.

ყველა ეს უფ. ლიამინმა შეურაცხყოზად მიიღო და, სადაც რიგი იყო, სამსახურიდ გან გამოსვლა განაცხადა. ეს ამბავი ძლიერ საწყენათ დარჩა მოსკოვის საზოგადოებისთვის: მთელმა საზოგადოებამ ეს თავის შეურაცხობად მიიღო; ყურნალ — გაზეთები აქამდის მის მეტს თითქმის არაფერზე არ ლაპარაკობდნენ და ყველას თითქმის ერთხმით უ-



ლიამინის მხარე ეჭირა. ხშირად ისმობდა საზოგადოებაში სჯა, რომ ლუბერნატორი აქ იმისთვის არის დაყენებული, რომ მას ჰქონდეს ზედმხედველობა ქალაქის წარმომადგენლებზე, რომ მათ საზოგადო საქმეები კანონიერად წაიყვანონ, და არა ამისთვის, რომ ქალაქის წარმომადგენლებმა მისი პირადი მოთხოვნები და სურვილი აღასრულონ; წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა საზოგადოების უფლება, რომელიც აქვს მას მინიჭებული უმადლოების მმართველობისაგან. მართლაც, ლუბერნატორი აქ სრულიად არ არის საზოგადო საქმეების გამგე; ის არის მხოლოდ ზედამხედველი, რომ საქმეების სელა ეწარჩილებოდეს დაწესებულ კანონს, საქმეების გამგეობა კი ქალაქის წარმომადგენლების ხელშია. მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ლუბერნატორსა და ქალაქის წარმომადგენელს შორის უკმაყოფილების მიზეზთა სრულიად არ ყოფილა საზოგადო საქმეების უკანონოდ წაყვანა. აქ მიზეზებია იყენებ ფრაკი და კარტოჩკა. ეს, როგორც გამოჰსთქვა რუსულმა პრესამ, ძრიელ სამწუხაროა.

თუმცა მიზეზები ამისთანა მცირე იყო, მაგრამ შედეგი კი ისეთი დიდიდა, რომელიც სრულიად არ ყოფილა საზოგადოებისათვის სასიამოვნოდ.

ამ ამბავმა ისე მიიქცია ყოველი კაცის ყურადღება, რომ ყველიერი და ბლინობა კინაღამ ჩუმად შემოგვეპარა. მაგრამ რაღაცა ღმერთმა გვიშველა: ყველიერის მოსვლა და ამ ამბის გათვება ერთ დროს მოხდა. მინისტრის ცირკულიარიც გამოვიდა, რომელმაც განმარტა — როგორი განწყობილება უნდა იყოს ლუბერნატორსა და ქალაქის წარმომადგენელს შორის; ქალაქის წარმომადგენლები პატივს უნდა სცემდნენ ლუბერნატორებს, როგორც მართველობის წარმომადგენლებს. ამ ცირკულიარის ძალით, ფრაკი დამარცხებული შექნა, მუნდირმა კი გაიმარჯვა. უ. ლიამინი, თანახმად თავის სურვილისა, სამსახურიდან გამოვიდა. ზემო-აღწერილის ამბავის შემდეგ, როგორც უ. დურნოვო, ისე უ. ლიამინი პეტერბურღში წავიდნენ. ესლა ორივე მოსკოვში არიან. ამბობენ, ლუბერნატორი დარჩება თავის თანამდებობაში.

გარდა ამისა, ყველიერამდი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს ბალი ჰქონდათ, ამ ბალზე (იანვარს 25-ს) შეუკრებიან მათ, ხარჯს გარდა, როგორც ამბობენ, რამოდენიმე ათასი მანეთი. ერთს სტუდენტს შეეტანა ჰაზრი, ეს ფულები დარიბ ამხანაგებს დაურიგოთო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არა გადაუწყვეტიათ რა. ერთი სტუდენტისგან გავიგონე, რომ იმათში, რომელთაც ეს ითავეს ერთი-ორის მტერი, არ არის ამ საქმის თანამგობნი, სხვები კი სხვა წიარად იქცევიანო... ცოტა არ იყოს, თურმე ფულებიც შემოეცუტქნათ ხელში. უ. გილიაროვ — პლატონოვი, «თანამედროვე ამბების» (Современныя известія) რედაქტორმა რომ გაიგო, ბალზე შეკრებული ფულებით უნდათ სტუდენტებს თავის ამხანაგების დახმარება, დაიწყო ყვირილი: «როგორ თუ თქვენ ასე დაიმდაბლეთ თავი, რომ მეზარმანკების ტოლები შეიქენითო, რომელნიც მარმანკის კერით აღებული ფულებით ინახვენ თავსო? როგორც ისინი, ისე თქვენ დამხმარებელის რაღასაც თქვენვე თამაშობთ და დასამარებლებსაცაო. ეს იეზუიტების კანონიაო, რომელიც ამბობს: «მინანი ამართლებს საშუალებასაო» რა დაუშავეს საწყალობა მეზარმანკებმა უ. გილიაროვს, რომ იმათ თავის მოწინავე სტატიაში (№ 37) ამისთანა უპატიურობა მიყენა? რა ქნანა საწყალებმა,

თუ იმათ ცხოვრების ევლზე, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, უკეთესი გედი არ ხდომიანთ წილად? თუ ისინი, მისთვის რომ შიშილით არ დაიხონენ, დაითრევენ, თავის შიშველა ბავშვებთურთ, ქუჩებზე შარმანკებს უეკრენ და შეტკერაინ ფანჯრებს მშიერას, თაღებთ, იქნება ორი ფრა ვადმოადლოს ეინმე-მო? ნუ თუ ამ ნაირი მოქმედება ჰგავს იე-ზუიტების მოქმედებას? ან სტუდენტების მოქმედება, თუ კი მათ დარიბი ამხანაგების დახმარება აქვთ მხედველობაში, როდესაც ბალს აკეთებენ, ან სექტაკლს აძლევენ, შეიძლება დაამკავსოს კაცმა იეზუიტების მოქმედებას? ნუთუ საძრახისი საქმეა ამხანაგების დახმარება? ამ საქმეში ჩვენ იმოდენათ კეთილს და ძვირფას გრძნობას ვხედავთ, იმოდენა კაცობრივ გრძნობას, რომ ის, მგონი, ქვეყნის დამაქცეველ ცოდვასაც გამოისცილის. არა მგონია, სადმე ისეთი გონიერი კაცი აღმოჩნდეს, რომელმაც ერთი ან ორი მანეთი მისცეს დარიბი მოსწავლე ახალგაზდებისათვის, იმ ახალგაზდებისათვის, რომელიც მომავალში საზოგადოების სასარგებლო წევრი უნდა შეიქენენ, და ამ დროს გაიყლოს თავში ის აზრი, რომ ამას საშოწყოლოთ ვაძლეე, რომ ეს სასიარცხო, დამამცირებელი არის ახალგაზდებისთვისაო. განა საზოგადოება ყოველთვის ვალდებული არ არის, ხელი მოუშარტოს და სწავლის საშუალება მისცეს ახალთაობას? განა გონიერი კაცი იტყვის, რომ ეს ხელის-მომართუა და შეწვენა დამამცირებს ამ ახალ-თაობის თუნდა იდეალურ პატიოსნებასა და თავმოყვარეობასა?

უმათერესი ნაწილი სტუდენტობისა რომ შეიწროებულ მგომარეობაშია, ამაში ეჭვი არ არის და ამ გარემოებას კიდევ მიაქციეს ყურადღება. ამას გვიმტკიცებს საზოგადოებანი, რომელნიც შეჰსდგნენ რუსეთის უნივერსიტეტის ქალაქებში (ხარკოვში, კიევი) და რომელთაც მიზნათა აქვთ სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესობა. კიევი, პროფესორის ბუნგეს აზრით, შესდგა სტუდენტებისათვის ცალკე თაენი (ფონდი), რომლიდამაც სტუდენტებს შეუძლიანთ გაიტანონ ფულები, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ფულები, შემდეგ უნივერსიტეტის შესრულებისა, ცოთ-ცოტათი გადაიხლონ. ეს არ ეგნება ესლანდელს სტიპენდიას. მეორე მხრით, ეს იმითია კიდევ სასარგებლო, რომ წაღებული ფული არ იკარგება, როგორც ესლა სტიპენდიები, და ფონდი თანდათან მატულობს; ამ წიარად შეიძლება მაშინ სტიპენდიების რიცხვი გამრავლდეს.

• თერგის უწყებებში • ერთს ძრიერ სასიამოვნო ამბავი იწერებია. ეს ამბავი აი რასში მდგომარეობს: როსტოვის ახლო-მანლო სოფლებში შემდგარა შგშების არტელი ანუ ამხანაგობა; ამ არტელს განუზრახავს იჯარით აღება ყველა მსალისა, რაც კი ახლათ ასამენებელ რუსტოველადიკაქაზის რკინის გზას დასკირდება. ამგარათ, ამ არტელის წევრებს სურთ, რომ თავიდან მოიშორონ ის ვაჭრები და მეიჯარადრები, რომელნიც, რკინის გზის აშენების დროს, ყოველ საქმე იჯარით იღებენ, იქირავებენ მუშებს, იმათ ამუშავენ და თათონ კი იმათი ოფლით მდიდრდებიან. ეს არტელი კი თვითონ მშრომელიც იქნება და მოთავეც; მაშასადამე მოგებაც მუშებს დარჩებათ. ეინატროთ, რომ ამ მუშების ამხანაგობის საქმე ვარგათ წასულიყოს და ამათი მაგალითით სხვებსაც ესარგებლოს.

პეტერბურღის გაზეთს «ბირჟაში» იწერებია, რომ აქაურს მუშებს (ხურობებს) ფინანსის საინისტროში წარუდგენიან წესდებულეა «ხურობა-მუშების არტელისა» ამ ამხანაგობის განზრახვა ის არის, რომ თითონ აილონ სამუშაო და მერე მოგებაც და წაგებაც თანასწორად გაიყონ. ამხანაგობა აპირებს თავის წევრებისთვის საზოგადო სადგომის და სახელოანო სახლის გამარუას და აგრეთვე ყოველივე სახელოანო იარაღების შეძენას. ამგარათ, ამხანაგობას სურს, რომ თავის მოგება თვითონვე დარჩეს და იმის შემწობით თავის მატერიალური და ხნეობითი მდგომარეობა გაუმჯობესოს.

პეტერბურღის კორრესპონდენტი «რუსის უწყებისა» იწერება, აქაურს ლიტერატორების წრეში ხმა გაეარდაო, რომ იქნება ერთი ძალიან გამოჩენილი რუსის მწერალი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იყო გაგზავნილი ციმბირში, მალე დაბრუნდესო, რადგან ამ მწერლისათვის ესლა ერთი გამოჩენილი და პატრესადები პირი შუამდგომლობსო.

რუსული გაზეთი «ახალი დროება» გვაცნობებს, რომ პეტერბურღში სდგება უმადლოესი წოდების ქაღებისაგან ისეთი საზოგადოება, რომელსაც ჰსურს, რომ შედიკო-ხირურგის აკადემიის კურსებში მყოფს ახალგაზდა ქალებს ხელი მოუშარტოს. ეს საზოგადოება, სხვათა შორის, სტიპენდიებს დაუნიშნავს და დროებით ასესხებს ფულებს ამ კურსებში მყოფ ღარიბ ქალებსა.

სახლო განათლების მინისტრს ვარშაიის სამსწავლებლო მაზრის მზრუნველისათვის მიწერილობა გაუგზავნია, განკარგულება მოახდინეთო, რომ თქვენს სამაზრო გიმნაზიებში შაგირდებმა, გიმნაზიაში ყოფნის დროს, რუსულს გარდა, სხვა ენაზე არ ილაპარაკონო.

ერთს რუსეთის გუბერნიის გიმნაზიაში ამას წინათ შევიდეს კლასის შაგირდი გამოუგდიათ მხოლოთ იმისთვის, რომ გიმნაზიის უფროს უნახავს, რომ ეს შაგირდი თეატრში პაპიროზს სწევდა. ამ ქალაქის გაზეთში სწერენ, ეს გიმნაზიელი ძრიელ ნიჭიერი და კარგათ მოსწავლე ქმწილი იყო და აქაურ მცხოვრებლებს ძალიან ეწყინათ ამის გამოგდებაო.

თებერვლის 8-ს მუდამ წელს პეტერბურღის უნივერსიტეტის იუბილდის დღესასწაულდებენ. წელსაც ამ დღეს სტუდენტებს საღამო გაუმართავთ, რომელშიაც ბილეთებით შედიოდნენ. ხარჯს გარდა, ამ ბილეთების გაყიდვისაგან, დარჩენილა 2,462 მან. ამ ფულებში გარეშე პირებისაგან შეწირული ფულებიც ურევი.

უსხო ქვეყნები

ესპანია

გაზეთებდამ ეტყობულობთ, რომ ესპანიაში რესპუბლიკური მმართველობა ჯერ-ჯერობით მტკიცეთ არსებობს. მართალია, რამდენსამე ადგავს, და თვით მადრიდშიაც, ყოფილა ამას წინათ არეულობა, მაგრამ ზოგან თვითონ რესპუბლიკის მომხრე ხალხს დაუწყარებია აჯანყებულები და ზოგან მმართველობის ჯარებს. ასე რომ ესლა თიქმის ყველას იმედი აქვს, რომ ესპანიაში რესპუბლიკა მაგრათ მოიდგამს ფესვებსა.

ერთი მტერი, რომელიც რჩება ესლა რესპუბლიკურ მმართველობას, დონ-კარლოსის

მომხრეები არიან. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს, როგორც გაზეთებდამ სჩანს, მმართველობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ იმათაც მოუსპოს ხალხის აღმფოთებისა და არეულობის გზა: ამბობენ, რომ კონგრესი 100,000 ჯარის (ვოლონტერების) მოკრებას აპირებს თურმე განსაკუთრებით ამ კარლოსის მომხრეების დასამშვიდებლად. კორტეების ყველა პარტიები თანხმად არიან ესლა თურმე იმაზე, რომ ესპანიაში რესპუბლიკური მმართველობის დამკვიდრებისათვის ამ ჟამად ყველაზე უფრო საჭირო ის არის, რომ ეს კარლოსის მომხრეები დაწყარონ, რომელნიც ზოგიერთ ესპანის პრევიციებში, განსაკუთრებით კატალონიაში, ნავარაში და ბასკის პროვიციებში, ასობით და ორასობით დაბუღებულან და არ ასვენებენ ხალხსა. ეს საქმე ესლანდელ მმართველობას არ გაუჭირდება, რასაკვირველია, თუ კი ენერგულათ მოჰქიდა იმას ხელი.

მეორე მტერი ესპანის რესპუბლიკური მმართველობისა არის გადამდგარი ესპანის დედოფლის იზაბელას ვაჟი-პრინცი ალფონსი. შესამე პრეტენდენტაც ჰყავს ესპანის გაუქმებულ ტახტს; ეს არის გერკოგი მონანსიე. ის გარემოება, რომ ეს ორი უკანასკნელი ტახტის მძებნელი ამ უკანასკნელ დროს შეერთებულან (ალფონსი მონანსისეს ქალის შერთვას აპირებს), რასაკვირველია, იმათ ძალასა და იმედს შემატებს, რომ შესარულდებენ თავის გულითადს წადილის; მაგრამ უცხო ქვეყნის გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ისინი ტყუილათ ეცდებიან ესპანის ტახტის განახლებას და რესპუბლიკის მოპობასაო; ვერცერთს და ვერც მეორეს ვერ შესარულდებენო.

ამერიკა

მკითხველმა იცის, რომ გასული წლის დამლევს (ნოემბერში) ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ამორჩევა იყო, რომელსეც დაეცევა გრანტი ამორჩივის. ამერიკის კონსტიტუციის ძალით, ახლათ ამორჩეულმა პრეზიდენტმა ყოველთვის უნდა გამოუგზავნოს კონგრესს (ხალხის წარმომადგენლების კრებას) ევისტოლვე, რომელშიაც გამოცხადებული უნდა იყოს, თუ როგორი პოლიტიკის მომხრე იქნება ის, რა მდგომარეობაში იმ ჟამად სახელმწიფო, რა რეფორმების მოხდენას სთვლის პრეზიდენტი საჭიროდ და როგორი განწყობილობა აქვს ამათ ქვეყანას სხვა ქვეყნებთან.

პრეზიდენტს გრანტს ესლა გამოუცხადებია არმისთანა ევისტოლვე. ამევისტოლვეში, სხვათა შორის, ის მადლობას უძღვნის ამერიკის ხალხს მეორეთ ამორჩევისათვის და შემდეგ მტკიცე რწმუნებას აცხადებს, რომ განათლებული ქვეყანა რესპუბლიკისაყენ არის მიმართულიო. გრანტი პირდება, რომ ის ეცდება, კარგი განწყობილება ექნეს სხვა სახელმწიფოებთან და რაც შეუძლია, ხელი მოუშარტოს ამერიკის წარმოებას და ვაჭრობას; ეცდებო, ამბობს შემდეგ გრანტი, რომ ადგილობრივი ინდოელები განუანთლო და თუ იმათ ვერ შეითვისეს განათლება და მოქალაქობრივი წყობილება, მაშინ ომის შემწობით უნდა მოვიშარტოთ ისინი თავიდანაო. ბოლოს გრანტი ასე ათავებს თავის ევისტოლვეს: «სამზღერების გაგანიერება არ დამამცირებს შეერთებული შტატების ძლიერებას, არ დამამცირებს მით უფრო, რომ, ჩემის აზრით, ღმერთი დედა-მამის ყველა ხალხებს შეერთებას უმსაღებს.» (!)

კერძნია

«მოსკოვის უწყებებში» შემდეგი ტელეგრამაა დაბეჭდილი: «ლენინცილის, ჰანოვე-

რის, ბრაუნშეიდის, ბრესლაულის, მიუნხენის და საზოგადოთ მთელი გერმანიის დიდი ქალაქების ტიპოგრაფიებმა, მარტის 8, დანთხოვეს ასოს-ამწებლები და მბეჭდვეები, რომელნიც ინტერნაციონალურ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. ამ ამბავის მიზეზი შემდეგი გარემოება იყო: ბრესლაუში ერთი ტიპოგრაფის მუშებმა მიატოვეს მუშაობა, სხვა ტიპოგრაფიებმა გაუზღვეს ამ ტიპოგრაფიას შავრდები მუშაობაში დასახმარებლოთ; ასოს-ამწებლებმა ამის გამო არეულობა მოახდინეს. ტიპოგრაფიების პატრონებმა ამათი თხოვნა უყურადღებოთ დაადგეს და გადაწყვიტეს, რომ შეეერთდნენ და დროებით მხოლოდ ერთი გაზეთი ებეჭდოთ.

ჩინეთი

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია რამდენიმე საინტერესო ცნობა ჩინეთის მდგომარეობაზე და განსაკუთრებით იქაურ ჩინოვნიკებზე. მაგვყავს ამ სტატიადამ რამდენიმე ალაგი:

ჩინელები ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ მეცნიერებასა და მეცნიერებს. დარწმუნებით შეძლება სთქვას კაცმა, რომ არცერთს ევროპის სახელმწიფოში ისეთს პატივს არა სცემენ მეცნიერებას და სწავლას, როგორც ჩინეთში. ისეთს მათხოვარს ვერ ნახათ ჩინეთში, რომ რამდენიმე იეროგლიფის გამოცნობა არ შეეძლოს; ისეთს სოფელს ვერ შეხვდებით, რომ შკოლა არ იყოს, ისეთს ოჯახს ვერ ნახათ, რომ ამ ოჯახის უფროსი არ სცილობდეს, თავის შვილები მეცნიერად გამოიყვანოს. ეს გარემოება ადვილთ გასაგებია, თუ წარმოიდგენთ, რომ ჩინეთში მხოლოდ სწავლულსა და მეცნიერს აქვს ყოველი პატივი და სამსახურის უფლება. ყოველმა კაცმა, რომელსაც სამსახურში შესვლა, ან რომელიმე ახალი თანამდებობის მიღება ჰსურს, უთუოდ ეგზამენი უნდა დაიჭიროს, თორემ უიმისოდ ადგილს არ მისცემენ. ამიტომაც ძალიან ხშირათ შეხვდებით ჩინეთში, რომ მამა და შვილი ერთად იჭერენ ეგზამენს ხშირათ ერთსა და იმავე ხარისხზე. უბრალო მწერლიდამ დაწყებული თვით მინისტრამდი, ყველას ეგზამენები დაჭერილი აქვს და ამის წყალობით მიუღიათ თანამდებობა. ბოლღიხანის მინისტრები სულ მეცნიერები და განსწავლულნი კაცები არიან.

მაგრამ საქმე იმაშია რა სწავლა არის ჩინეთში? ვის ეძახიან იქ მეცნიერებს? ჩინელების აზრით, ყველაზე უფრო მეცნიერი იმათში ის არის, ვინც კარგათ, ზეპირათ იცის იმათი სამღვთო წერილის წიგნები, და ძველებური თხზულებანი, რომელთაც აგრეთვე რელიგიური მნიშვნელობა აწერენ. საუკეთესო ჩინელმა მეცნიერმა არ იცის, არათუ მსოფლიო ისტორია, ანუ გეოგრაფია, ანუ სხვა რაიმე მეცნიერება, რომელსაც ესწავლობთ ჩვენ, არამედ იმან არც თავის საკუთარი ისტორია და გეოგრაფია არ იცის. ამიტომაც იმათი საზოგადო ცხოვრება და იმათი განათლება ერთსა და იმავე წერტილზე გაჩერებული და წინ-სვლა არა აქვს. ამიტომაც ამბობენ, რომ რაც ამ ორი სამი ათასი წლის წინათ ცხოვრება და განათლება იყო ჩინეთში, ეხლაც ის არის, არაფერი არც მოუმატია და არც გამოაცვლილა.

ხის გაყვანისათვის საზოგადოების დამწესებლებმა მთავრობისაგან ნებართვა უნდა მიიღონ, რომ იმათ უფლება აქვთ აუქციონერების კამპანიის შედგენისა. მიიღებენ თუ არა ამ უფლებას, დამწესებლები ვალდებული არიან ერთი წლის განმავლობაში გამოიკვილონ ადგილები, სადაც არხები უნდა გაიღვინეს და შემდეგ ამ გამოკვილების შედეგი, საზოგადოების წესდებულება (yr azh) და არხების გაყვანისათვის საჭირო ხარჯის ანგარიში უნდა წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად. დამწესებლები, მთავრობისაგან წესდებულების დამტკიცების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში ვალდებული არიან აუქციონერი საზოგადოება შეადგინონ და არხების გაყვანას შეუდგნენ.

მუხლი 2. წესდებულებაში უნდა იყოს მოხსენებული—თუ რამდენ წელიწადს უნდა გაიყვანოს საზოგადოებამ ზემო-აღნიშნული არხები.

მუხლი 3. როდესაც საზოგადოება გაიყვანს არხებს, ის ოთხმოცდა თექვსმეტი წლის განმავლობაში, მიიღებს წლიური მოსავლის ერთ ზერეფს $\frac{1}{8}$ იმ მიწებისას, სადაც არხები იქნება გაყვანილი. მიწის მფლობელებზე იქნება დამოკიდებული, ამ მერევედ ფულით თუ ნამუშევრით მისცემენ ისინი საზოგადოებას. ზემო აღნიშნული ოთხმოცდა თექვსმეტი წლის შემდეგ, არხები გადაუღვინ მიწის მფლობელებისა და მცხოვრებლების სრულს საკუთრებაში.

მუხლი 4. იმ მიწებს, რომელზედაც არხები გაიღვინა, საზოგადოება იყიდის ამ მიწების მფლობელებისაგან იმ დფასების წესით, როგორც სამოქალაქო კანონების X ტომის I ნაწილის 575 სტატია განსაზღვრავს.

მუხლი 5. საზოგადოების წლიური შემოსავლიდამ ყველაზე პირველათ უნდა გადაიღვას იმდენი ფული, რამდენიც არხების შეკეთებასა და საზოგადოების მმართველობის ხარჯს მოუწდება, და ამას გარდა 10% აუქციონერების დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც კაპიტალი შემოიტანეს. შემდეგ დანარჩენი შემოსავალი ამგვარათ უნდა იქნეს განაწილებული: ა) აუქციონერებს— $\frac{3}{10}$ დივიდენდის (ე. ი. მოგებისა, ბ) 30% დამწესებლებს გ) კანტონში სამეურნეო შკოლის გასამართავად შკოლა გაიხანება საზოგადოების წარდგენილობით და მთავრობის დამტკიცებით), დ) კამპანიის სამმართველოს წევრებს საჩუქრათ—5% და ე) სულთაი თანის (გ. შ. ჩინური რელიგია) შესადგენათ—10%. ეს უკანასკნელი გამორიცხება მხოლოდ იმ დროში იქნება, სანამ იმდენი თაენი შესდგება, რომ იმის სარგებლით შესაძლებელი იქნება კამპანიის გამოცემისა და არხების შეკეთებისათვის ხარჯის გასტუმრება. როცა ამდენი თაენი შესდგება, მაშინ ზემოაღნიშნული 10% უნდა მუშაში გაიყვანოს კამპანიის დამწესებლებმა და შემადგენლებმა. ოთხმოცდა თექვსმეტი წლის შემდეგ კი, როგორც თვითონ არხები, აგრეთვე ეს სულთაი თაენი მცხოვრებლების საკუთრებათ უნდა შეიქნეს.

ნარკვე

ფრანგულულ გაზეთებში იჭერებოან, რომ წელს ივლისის შარსში შეიქმნება სალხი-შარის კონგრესი, რომელსედაც მოაყვინან თაქს ადგილსაველი უფროსი ენისა და ისტორიის მფლედს სწავლულები.

გუკუდვთ ამ პროექტს და შექცევა კი ვეცდებით მოვიღებამართ იმის უმოკრეს საუბრეს სუ.

საფრანგეთის მთავრობას გადაწყვიტია, რომ რამდენიმე უთუოდ უნდა გაიყვანოს სალ-კალენიანთაში, მაგრამ ვერ ექიმება უნდა დაამაწმონ და გადაწყვიტონ, შეუძლია იმას მოგზაურობის ატახს, თუ არა.

შეტკბურდში ამას წინათ ერთი საშინელი მკვლელობა მოხდა: ბასკის ქუჩაზე ერთს სურსთ თავის სალგახსა ცოლისათვის რამდენჯერმე დაუკრავს ცული და იჭეე წაჭრევი. ამ დროს პოლიციასაც მოუწინა, მაგრამ ამ სურსთ მოუქნევა ცული, ჩაუკრავს მუცელში და თვითონაც წაჭრევი. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ეს მოსხურებული სურსთ ძალიან იჭეინა კაცი ყოფილა და ჰყვიერებდა, რომ ცული მდალტამსო.

გუადიმიტის გუბერნიის ერთს პატარა ქალაქში ამას წინათ კვლეში სდამო გაუმათავოთ. ხტკუმი რების რიცხეში, სხვათა შორის, ერთი სალგახს და გასწავლი ყოფილა. ამ ემსწავლს ერთი იქაური ჩინოვნიკის ქალის შერთვა უნდადა თურმე, მაგრამ ამ სადამოს ამ ქალმა იმას ხრულებით უერი არათოვ და შთელი სადამო ვილცა სხვას ემუხიოეზოდა. მეორე კადრილის დროს უეცრათ ამ ემსწავლმა გაცმა ამილა რეკლეკერი და ორჯერ თუ სამჯერ ესრელა თავის შეკრებულ ქალს. შემდეგ თავის თავის მოკვლავ უნდადა. ბოლოს შემსწავლი და გარეკული სტუმრები ეცნენ იმას ხელში, წართუეს რეკლეკერი და თვითონ ის დაიჭირეს.

ლონდონში სხვა და სხვა აიან-ნარ გაზეთებსა და ყურნალებს შორის სამსწავლო გაზეთიც გამოდის, რომელსაც სახელად «სადალქმრო ცნობები» ქება. ამ გაზეთის დანიშნულება ის არის, რომ განათხოვარი ქალები და საცოლო გაცები გაეცნოს და შემდეგ შეუღლდოს. ვისაც ცოლის შერთვა ან გათხოვება ჰსურს და თავის შესაყერ საცოლოსა და საქმროს კერ პოლოდოს, შეუძლია, დანიშნულ ფასად, გამოაცხადოს ამ გაზეთში და იჭეე თავის ფოტოგრაფიული კარტოკა დატოვოს. ერთის ამ გაზეთის ნომრისამ მოკუკავს, სამკვლითოდ, რამდენიმე განცხადება: «უმიტროსი შვილი ერთი პატრეკმული მემიულისა, 29 წლის ვაჟი, საშუალო ტანისა, თუთი პირი-სისისა, რომელიც კარგათ მიღებულა ძალად საზოგადოებაში, რომელსაც ბეკრი უმცხარია, და რომელსაც სოფლის ცნობებსა, თოფის სროლა და ვირთობა უყვარს,—ხურს ცოლს შერთვა და მსიოვიან ქალს და ექებს.»

ამსტრანს, რომელსაც კარგი შეძლება აქვს, ჰსურს გაიგნოს ლამაზი და, განათლებული ქალი, არა მომეტეულ 40 წლისა. მსიოვი მინდა და მინც სეკრო არ არის, მაგრამ, თუ ექნება, არა უშავს რა.»

ერთი კაცი, რომელსაც უყვარს ლიტერატურა, რომელსაც გეო და მსურველი გული აქვს, და ექებს კარგი ჰგუინს და მისრ-მოხვრის პატრონს ქალს. «არმიის მიორი მალე ინდოეთში წასვლას ემსადება და ჰსურს, რომ უეცრათ შეირთოს ცოლი.»

ქალები, თავის მხრით, ამნარ განცხადებებს ჰეჭდენ ამ გაზეთში:

«ერთი ოცდა სამი წლის სალგახსა, მაგრამ დარბი ქალი, რომელსაც თავის თავი ლამაზათ მიაჩნდა და რომელიც თავის გულში გრძნობს, რომ კარგი ცოლი იქნება, სექმროს დაექებს.»

«სალგახსა კარგი ოჯახის ქალი, პირმსუ და ლამაზიან მიხრ-მოხრის პატრონი, ლეწამის ტანდობისა რიგინს საქმროს შესედარს დაექებს.»

«ოცდა ოთხი წლის პირმსუ ქალი, რომელსაც წალვიდმირანი ათას მანეთად აქვს მამულები—ამ შემოსავალი, რომელიც მშენაურათ უყვარს.»

ფორტუანისაზე და არმაზე და რომელმაც ფრანგულული ენაც იცის, ისეთს საქმროს დაექებს. რომ კეთილი გული ჰქონდეს. ვიბე ცარიელიც რომ იყოს არა უშავს რა. ოდენდ ზრდადობისა და კეთილი გულის იქნეს.»

მეორე შინაგანი ხესხის ტრავი, რომელიც მარტის პირველს იყო:

№ ბილეთის	№ ხერისა	მოგება
15,709.	20	200,000
11,811.	32	75,000
8,875.	28	40,000
19,747.	45	25,000
19,311.	26	10,000
12,147.	5	
2,197.	49	
11,403.	10	
11,301.	19	8,000
226.	7	
5,805.	43	
12,788.	15	5,000
1,482.	38	
17,445.	15	
44,980.	1	
11,750.	3	
4,550.	33	1,000
11,622.	49	
3,773.	5	
4,207.	20	
15,425.	20	
3,785.	21	
6,412.	9	
1,795.	3	
15,819.	34	
10,334.	7	
5,662.	32	
7,261.	38	
1,482.	34	
10,785.	12	
6,210.	46	
6,667.	31	
17,691.	11	
4,701.	27	
7,804.	3	
13,709.	18	
16,009.	14	
1,973.	8	
11,563.	9	
7,458.	12	

განცხადებები

ისევიდება ქალაქში, სოლოლაკში, ხუთასი კვადრატული საგნი მიწა. დაწერილებით ამბავი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ კრიჭანოვსკის სახლში. კონსულის ქუჩაზე თფილისში.

მაქვს პატივი განუცხადო ქუთაისის პუბლიკას, რომ ამ დღეებში მივიღე შემდგომი წიგნები: სამოსამართლო წესდებიანი (Судебные уставы), სახელმძღვანელოები ყველა საგნებისა, ქართული წიგნები, როგორც საერო, აგრეთვე საეკლესიო და ქართული და რუსული კალენდარები 1873 წლისა. წიგნები გასცილებიან ქუთაისის ლუბერნიის სტამბაში, ტფილსის ქუჩაზე ეზიკოვის სახლში. ხამონ ჩომასიქე.

გენერალ-მაიორი კნიაზ ვახტანგ ორბელიანი, გენერალ-მაიორმა კნინა დარია კობულთისა და მოიჯარადრე კნიაზ ალექსანდრე ივანის ბარატინსკისა გარბოცკი-ზარენკეი ამითი გამოუცხადებენ ცხერის, საქონელის, ლორის და აგრეთვე ცხენების ჯოგების მეპატრონეთ, რომ წლებადელ 1873 წლის დაწებებიან იმათ დროებით დააწესეს იმ საძოვარს ადგილებში, რომელიც იმათ ეკუთვნისთ ტფილისის გუბერნიამი შემდეგი ზაფხულის საძოვარის ფასი:

თითო ცხვარზედ . . . ორ კაპიკ-ნახევარი
თითო საქონელზედ . . . ერთი აბაზი.
თითო ლორზედ . . . სამი შურტი.
თითო ცხენზედ . . . ერთი აბაზი.
ცხერების, საქონლის, ლორების, და ცხენების მეპატრონენი, რომელთაც მოჰყავთ და კვლავაც მონდომებენ თავიანთ ცხერის, საქონლის, ლორის და ცხენების მოყვანას ზემოხსენებულ ადგილებში საძოვართ, ამითი იცნობებიან წინათვე, რომე რა ფასსაც გამოართმევენ იმ საძოვარისთვის.